საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი ლ. ჯ.. /სიითი №/

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: მ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.01.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №010/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ქ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ქ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 25 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა, ხოლო 15 მარტს ზეპირ განხილვაში მიიღო მონაწილეობა ადვოკატმა ლ. ჯ.-მა, ადვოკატ თ. ქ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მის სარჩელს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების წესების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებით. 2021 წლის 15 დეკემბერს ადვოკატმა ა. ჯ..-მ, რომელიც არის ადვოკატთა

ასოციაციიის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე, სარჩელთან დაკავშირებით გააკეთა საჯარო პოსტი, სოციალური ქსელის „Facebook“-ის მეშვეობით.

1.3 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა თ- ქ-მ ადვოკატ ა. ჯ.-ს პოსტს უპასუხა მისთვის შეურაცხმყოფელი კომენტარებით, რითიც ადვოკატმა თ. ქ.-მ მის მიმართ დაარღვია კოლეგის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2022 წლის 07 თებერვლს ადვოკატმა თ. ქ.-მ ეთიკის კომისიას წარმოუდგინა წერილობითი განმარტება, ხოლო 2022 წლის 15 მარტს ზეპირ სხდომაში მიიღო მონაწილეობა. ადვოკატმა მიუთითა, რომ მან სიტყვის თავისუფლების ფარგლებში გამოხატა საკუთარი აზრი, კონკრეტულ საკითხზე. ადვოკატი აქვე უთითებს, რომ საჩივარი არ პასუხობს დადგენილი პრქტიკით გათვალისწინებულ მტკიცებულების წარმოდგენის სტანდარტს, რადგან მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის დათვალიერების ოქმით ან ოქმით ფაქტების კონსტატაციის შესახებ, შესაბამისად, საეჭვოა მტკიცებულების ავთენტურობის საკითხი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანი სადავოდ ხდის ფრაზას „სისხლი გამეყინა მათ მოსმენაში, ამათმა დააკნინეს საკუთარი ინტელექტი და ხაზი გაუსვეს, თუ როგორ ებრძვბიან ჩვენს პროფესიას, საკუთარ თავებს და ძირს უთხრიან სამომავლო პესპექტივას იყვნენ სრულფასოვანი წევრები“. ადვოკატი მიიჩვენს, რომ ამ შეფასებით არ დაურღვევია კოლეგიალობის ვალდებულება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანს არ აქვს წარმოდგენილი ის კომენტარები, სადაც მას აყენებს მძიმე სიტყვიერ შეურაცხყოფას როგორც თავად, ასევე მისი მეუღლე და სიდედრი. ადვოკატი განმარტავს, რომ მაქსიმალურად შეეცადა, შეურაცყოფაზე პასუხი არ გაეცა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მისი თავდაპირველი კომენტარი განპირობებული იყო მომჩივანის საკონსტიტუციო სარჩელითდა წარმოადგენდა სარჩელის სამართლებრივ ანალიზს. საკითხი ეხებოდა ასოციაციის წევრთა საერთო ინტერესებს, მიაჩნია, რომ ადვოკატმა ლ. ჯ..-მა საკონსტიტუციო სარჩელის შეტანით არ გაითვალისწინა კოლეგათა უმრავლესობის პოზიცია. ამის გათვალისწინებით, მან რამდენიმე კოლეგასთან ერთად გამოხატა აზრი, სიტყვისა და აზრის გამოხატვის ფარგლებში.

2.5 ადვოკატის პოზიციით, მომჩივანის საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ქ.. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

3.2 ადვოკატმა ლ. ჯ..-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 25 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ თ. ქ..-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა თ. ქ..-მ ადვოკატ ა. ჯ.-ს მიერ პირად „Facebook"-ის გვერდზე გამოქვეყნებული პოსტის ქვეშ გაკეთებული კომენტარებით მის მიმართ დაარღვია კოლეგის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ქ..-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები; ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7, მუხლი 10.1).

5.3 ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები კოლეგების მიმართ, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია. ამასთან, ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში ადვოკატის სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, მათ შორის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრონციპთან ან სასამართლოს მიმართ ვალდებულებებთან, ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

5.4 საქართველოს კონსტიტუციის მე-19.1 მუხლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება", ხოლო 24.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით". აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და მე-19.3 და 24.4 მუხლების მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

5.5 ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ

უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

5.6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

5.7 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეში №2317/12/06 აღნიშნა, რომ: ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.

5.8 „ადვოკატის პროფესია საკმაოდ რთული და კომპლექსურია, რადგან წარმოადგენს საზოგადოების დიდ ინტერესს. ადამიანი, რომელიც ირჩევს ამ პროფესიას მზად უნდა იყოს ისმინოს, მისი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა არც თუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყოს, მაგრამ ეს წარმოადგენს იურისტის პროფესიის განუყოფელ ნაწილს... საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა“ (ეთიკის კომისიის 20.08.2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე N100/12).

5.9 ადვოკატი თ. ქ... 2022 წლის 07 თებერვლის წერილობით განმარტებაში უთითებს, რომ მომჩივანის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი „სქრინები“ არ აკმაყოფილებს მტკიცებულების ავთენტურობის ხარისხს, თუმცა, 2022 წლის 15 მარტის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე სადავოდ არ გაუხდია, რომ კომენტარი მას ეკუთვნის. მხარეთა პოზიციებით და წარმოდგენილი მასალებით კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ა. ჯ.-ს „Facebook“-ის გვერდზე, მის მიერ გაკეთებული საჯარო პოსტის ქვეშ, ადვოკატმა თ. ქ..-მ გამოაქვეყნა რამდენიმე კომენტარი.

5.10 ადვოკატ ა. ჯ.-ს პოსტი: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში არსებით განხილვას საქმეზე „ლ. ჯ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ ვინც უსმინეთ, მართლა გულწრფელად

მაინტერესებს ვინმესთვის მოსარჩელე მხარის ან დასაბუთება, ან კომპეტენცია, ან ეთიკა, ან რამე იყო მოსაწონი, მისაღები და გასაზიარებელი?“

5.11 ადვოკატ თ. ქ..-ს კომენტარი:

5.11.1 „სისხლი გამეყინა ამათ მოსმენაში, მე მრცხვენია, რომ სამივე მათგანი, ვინც მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა ჩვენი კოლეგიის წევრები არიან. ამით დააკნინეს საკუთარი ინტელექტი და ხაზი გაუსვეს იმას თუ როგორ ებრძვიან ჩვენს პროფესიას, საკუთარ თავებს და ძირს უთხრიან სამომავლო პერსპექტივას იყვნენ სრულფასოვანი წევრები ამ დიდი ოჯახის რასაც ადვოკატთა ასოციაცია ქვია. როგორ წარმოუდგენიათ თავიანთი თავი სამომავლოდ ამ კორპორაციაში ყოფნა? სჯობს გავიდნენ ჩვენი რიგებიდან! რაც შეეხება მათ პოზიციას ყოველგვარ ლოგიკას და საღ აზრს მოკლებული იყო თითოეული მათი სიტყვა“;

5.11.2 კომენტარზე მონიშნულია ადვოკატი ლ. ჯ..: „შენ არ შეგეკითხები მე რას გავბედავ და რას არა)))) სამარცხვინოდ ვინც გამოვიდა ამ პროცესზე დაეტყო. მომზადებული მაინც ყოფილიყავი ან/და კონსტიტუციონალისტებისათვის მაინც მიგემართა რჩევისთვის)))სუსის მოგზავნილს შენ უფრო ჰგევხარ ლ. ვიდრე სხვა ვინმე ამ კორპორაციაში. ჩვენს მაკონტროლებელ ორგანოდ იუსტიციის სამინისტროს განიხილავ და კიდე ჩვენ ვართ სუსის აგენტები? თუ რაღაც მსგავსი? პატივი ეცი საკუთარ თავს და პროფესიას! შენს გამო სხვა ადვოკატებს არ უნდა გვიწევდეს ამ სამარცხვინო პროცესების მოსმენა და თვალყურის დევნება თუ როგორ ცდილობთ ერთეული ადამიანები მთელი სისტემის ჩამოშლას, რაც ათწლეულები აშენა შენზე ჭკვიანმა და გამოცდილმა ადამიანებმა. ძალიან გამაღიზიანებელია შენი დამოკიდებულება ადვოკატთა ასოციაციის მიმართ, ფაქტობრივად უმრავლესობას უწესებთ „სამი ადვოკატი“ იმას რაც არ გვსურს“;

5.11.3 „იმან 27 წლის სტაჟი მაქო, ამან დორბლები ვერ შეიკავა და მისსავე დაწერილ ტექსტს ტიპი ვერ კითხულობდა და ბოლოს ისე ატირდა ცრემლები ყარა. მერე ცრემლი გადასცდა და ლამის დაიხრჩო. ეს ხუმრობით და სერიოზულად მეტს ვერაფერს დავამატებ“.

5.12 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ჯ.-ს პოსტის ქვეშ განვითარებული დიალოგი ეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2021 წლის 15 დეკემბერს გამართული პროცესის შეფასებას. ადვოკატ თ. ქ..-ს პირველი კომენტარი (პარ. 5.11.1) მიმართულია საკონსტიტუციო სარჩელში მოსარჩელეთა - მათ შორის ადვოკატ ლ. ჯ..-ს მიმართ. თ. ქ...-მ შეაფასა პროცესის მიმდინარეობა და გამოთქვა თავისი მოსაზრება. კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის პოზიცია წარმოადგენს კრიტიკას და პოზიციის გამოხატვის დროს, ის არ გასცდენია კრიტიკის დასაშვებ ფარგლებს. ამავე კომენტარის მეორე ნაწილში ადვოკატი თ. ქ.. ზოგადად აფასებს პროცესის მიმდინარეობას.

5.13 ადვოკატ თ. ქ..-ს მეორე კომენტარი (პარ. 5.11.2) მიმართულია მისი კოლეგის - ადვოკატ ლ. ჯ..-ის მიმართ. კომენტარის შინაარსის მიხედვით, კოლეგიას მიაჩნია, რომ დაცულია ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება.

5.14 ადვოკატ თ. ქ..-ს მესამე კომენტართან (პარ. 5.11.3) დაკავშირებით, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ ეს კომენტარი არ მიემართება ადვოკატ ლ. ჯ..-სადმი და წარმოადგენს ზოგად შეფასებას.

5.15 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ქ..-ს მიერ კომენტარებში გაჟღერებული მოსაზრებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით, რადგან ყველა მოსაზრება შეიცავს ადვოკატის პოზიციას და კრიტიკას, რომელიც არ გასცდენია აზრის გამოხატვის ფარგლებს. ადვოკატ თ. ქ...-ს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 7 და 10.1 მუხლით დადგენილი კოლეგის პატივისცემის ვალდებულება.

5.16 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №010/22 ადვოკატ თ. ქ..-ს მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

გადაწყვეტილებას თან ერთვის კოლეგიის თავმჯდომარის, ეკატერინე გეწაძის განსხვავებული მოსაზრება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვლი/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

I დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის - ეკატერინე გეწაძის

განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე, საქმე №010/22

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების - ეთიკის კომისიის პირველი საპროცესო კოლეგიის წევრების მიმართ, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება ადვოკატ თ. ქ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ (საქმე №----) და წარმოგიდგენთ განსხვავებულ აზრს მოცემული საქმის სამართლებრივ შეფასებასა და შედეგთან დაკავშირებით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ ჯერ კიდევ 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა პრაქტიკა, გაავრცელა რა ეთიკის კოდექსის ფარგლები ადვოკატის ქცევაზე სოციალურ ქსელში, როდესაც ადვოკატმა გააზიარა ინტერნეტ გამოცემა, სადაც მის კოლეგას გამოთქმული ჰქონდა სამართლებრივ საკითხზე მოსაზრება და შეურაცხმყოფელი კომენტარით მოიხსენია კოლეგა (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №----). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2015 წლის 6 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე №---- ადვოკატთა ეთიკის კოდექსი გაავრცელა ადვოკატზე მიუხედავად იმისა, რომ სადავო ქცევა საადვოკატო საქმიანობას არ უკავშირდებოდა. სასამართლომ განმარტა: „ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში… კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“. შესაბამისად, ამ კონკრეტულ შემთხვავშიც, ეთიკის კომისიის მხრიდან შეფასებას უნდა დაექვემდებაროს ადვოკატის მიერ სოციალური ქსელის საშუალებით კომენტარის დაფიქსირების ფარგლებში მისი ქცევის ეთიკურობა.

ადვოკატის ვალდებულება, რომ დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში ადვოკატის სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. სწორედ ეს საკითხი გახლდათ შეფასებისა და მსჯელობის საგანი - სად გადის ზღვარი ადვოკატ თ. ქ.-ს გამოხატვის თავისუფლებასა და საჩივრის ავტორის - ადვოკატ ლ. ჯ.-ის უფლებას შორის, რომ არ შეილახოს მისი ღირსება და მოსთხოვოს კოლეგას კოლეგიალობის პრინციპის განუხრელი დაცვა.

ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ

საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“ ადვოკატ თ. ქ.-ს მიერ პოზიციის დაფიქსირება მოჰყვა სწორედ მართლმსაჯულების განხორციელებასთან კავშირში მყოფ საკითხს - საკონსტიტუციო სასამართლოში დავის განხილვას.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის “ბ“ პუნქტის მიხედვით, „აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“, ხოლო „ე“ პუნქტის მიხედვით, „ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“. ამავე კანონის 4.1 მუხლის მიხედვით „აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით“. შესაბამისად, საკითხის შეფასებისას მნიშვნელვანია დადგინეს, პირის მიერ გამოითქვა მოსაზრება, თუ გაკეთდა ფაქტების შემცველი განცხადება.

<u>ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების</u> **შეზღუდვა უნდა განხორციელდეს გამონათქვამის შეფასებით - მისი შინაარსის, ფორმისა და კონტექსტის გათვალისწინებით. ხოლო, როდესაც ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის მისამართით წარმოთქმული სიტყვები ლახავს ადვოკატის როგორც პიროვნულ, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, აღნიშნული წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2015 წლის 25 დეკემბერის გადაწყვეტილება საქმეზე №037/13).**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.s. and zv Zwitzerland აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

მიმაჩნია, რომ ადვოკატ თ. ქ.-ს კომენტარები შეიცავს როგორც შეფასებით მსჯელობას, რომელიც ასახავს ბ-ნ ლ. ჯ.-ის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას (,,მე მრცხვენია, რომ სამივე მათგანი, ვინც მოსარჩელეს წარმოადგენდა, ჩვენი კოლეგიის წევრები არიან, ამით დააკნინეს საკუთარი ინტელექტი და ხაზი გაუსვეს იმას, თუ როგორ ებრძვიან ჩვენს პროფესიას, საკუთარ თავებს და ძირს უთხრიან სამომავლო პერსპექტივას იყვნენ სრულფასოვანი წევრები ამ დიდი ოჯახის, რასაც ადვოკატთა ასოციაცია ჰქვია. როგორ წარმოუდგენიათ თავიანთი თავი სამომავლოდ ამ კორპორაციაში ყოფნა? სჯობს გავიდნენ ჩვენი რიგებიდან!“), ასევე შეიცავს ბ-ნ ლ. ჯ.-ის პროფესიული საქმიანობის კრიტიკას (,,რაც შეეხება მათ პოზიციას, ყოველგვარ ლოგიკას და საღ აზრს მოკლებული იყო თითოეული მათი სიტყვა“).

მეორე მხრივ, ის ამავდროულად შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს (,,ებრძვიან ჩვენს პროფესიას“...,,სუსის მოგზავნილს შენ უფრო ჰგევხარ“...,,ცდილობთ ერთეული ადამიანები მთელი სისტემის ჩამოშლას“), ამიტომ რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომენტართან, რომელიც <u>არ არის მხოლოდ შეფასებითი მსჯელობის ბუნების მატარებელი, მიმაჩნია, რომ მასზე არ უნდა გავრცელდეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ</u>

<u>საქართველოს კანონის 4.1 მუხლი და აღნიშნული კომენტარი ვერ ისარგებლებს დაცვის აბსოლუტური პრივილეგიით.</u>

მიმაჩნია, რომ ადვოკატ თ. ქ.-ს <u>ზოგიერთი კომენტარი</u> არის შეურაცხმყოფელი ხასიათის, მიემართება უშუალოდ ადვოკატ ლ. ჯ.-ს (არ გახლავთ ზოგადი ხასიათის), კომენტარში გამოყენებული ცალკეული სიტყვები მიზნად ისახავს ადვოკატ ლ- ჯ-ის არა მხოლოდ პიროვნული, არამედ ასევე პროფესიული თვისებების დამცირებას, კერძოდ: **,,მე მცხვენია, რომ სამივე მათგანი, ვინც მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა ჩვენი კოლეგიის წევრები არიან...სამარცხვინოდ ვინც გამოვიდა პროცესზე დაეტყო...სუსის მოგზავნილს შენ უფრო ჰგავხარ...შენს გამო სხვა ადვოკატებს არ უნდა გვიწევდეს ამ სამარცხვინო პროცესების მოსმენა...“** და შესაბამისად, შესაძლოა ხელს უწყობდეს საზოგადოებაში მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ადვოკატის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენას, **რაც ვფიქრობ, რომ ცდება კოლეგის დასაშვები კრიტიკის ფარგლებს.**

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ასევე შიდა კანონმდებლობით, მაგრამ აზრისა და სიტყვის თავისუფლებამ არ უნდა შელახოს სხვათა უფლებები. არ შეიძლება აზრისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში იქნეს განხილული ადამიანისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, რაც პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ტოლფასია.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მხრიდან ასევე სადავოდ გახდილ კომენტარს (,,იმან 27 წლის სტაჟი მაქვსო, ამან დორბლები ვერ შეიკავა და მისსავე დაწერილ ტექსტს ტიპი ვერ კითხულობდა და ბოლოს ისე ატირდა ცრემლები ყარა მერე ცრემლი გადასცდა და ლამის დაიხრჩო“...) ადვოკატ თ. ქ.-ს განმარტებით, აღნიშნული არ მიემართებოდა საჩივრის ავტორს, უკავშირდებოდა საერთოდ სხვა საკითხს, რასაც მომჩივანთან არავითარი შეხება არ აქვს, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, საიდანაც უტყუარად დადგინდებოდა შეიძლება თუ არა უკავშირდებოდეს თ. ქ.-ს ზემოთხსენებული ფრაზები უშუალოდ ბ-ნ ლ. ჯ.-ს.

<u>ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ადვოკატ თ. ქ.-ს ქმედებაში იკვეთება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და 10.1 მუხლების სავარაუდო დარღვევა, რის გამოც ადვოკატ ლ. ჯ.-ის საქმეზე განსხვავებული სამართლებრივი შედეგი უნდა დამდგარიყო.</u>

შესაბამისად, ვერ დავეთანხმები კოლეგიის წევრების შემაჯამებელ დასკვნას, რომ არ არსებობს ადვოკატ თ. ქ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი. ვფიქრობ, რომ მოცემულ საქმეზე უნდა აღძრულიყო დისციპლინური დევნა ადვოკატ თ. ქ.-ს მიმართ და საქმე არსებითად განსახილველად უნდა გადასცემოდა ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიას, რომელიც სადავო საკითხის არსებითი შეფასების გზით იმსჯელებდა ეთიკის კოდექსის დარღვევაზე მოპასუხე ადვოკატის მხრიდან.

ეკატერინე გეწაძე

კოლეგიის თავმჯდომარე